ოქმი:**ო63.63220952**
თარიღი:**05/04/2022**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის

ო ქ მ ი N 7

ქ. სამტრედია. 4 აპრილი, 2022 წელი.

2022 წლის 4 აპრილს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, ზაზა ადეიშვილი, დავით ჯანელიძე, გოჩა არველაძე, პაატა კოხრეიძე, ილია მჟავია, ჯონი თევზაძე, ლიზა კრავეიშვილი, ჯონი ახობაძე, მაია ტალაბაძე, ბადრი შენგელია, ლელა ჩორგოლაშვილი, გრიგოლ ჩიგოგიძე, გიორგი გაგუა, გივი ჯულაყიძე, დავით ნიკოლეიშვილი, აკაკი მინაშვილი, ავთანდილ თადუმაძე, ქეთევან კუტალაძე, მარიამ ბარბაქაძე, ლაშა გრიგოლია.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი, დავით ბაღდავაძე. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბუღალტრო განყოფილების უფროსი, მარინა ანდღულაძე.

   შესყიდვების განყოფილების სპეციალისტი, ტიტე ბარამიძე.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი, ნოე ივანიაძე;

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, ზურაბ გოგია.

4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ბეჟან გეგეშიძე.

5. განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი, ნატალია მანჯგალაძე.

6. სამტრედიის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი, ლევან ახობაძე.

7. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ნორა იანიკოვი.

8. შ.პ.ს. ,,სამტრედიის მაცნე''-ს კორესპოდენტი, ლევან გაბეჩავა.

9. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,საინფორმაციო ცენტრი''-ს წარმომადგენელი, გიორგი მელქაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის, თებერვლის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე. თანამომხსენებელი, გ.არველაძე./

2. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

3. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

4. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის N27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

5. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის N28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

6. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

7. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

8. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 6 ოქტომბრის №35 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

9. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

10. სხვადასხვა.

კენჭი ეყარა დღის წესრიგს წარმოდგენილი სახით.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, (31 ხმით) დამტკიცდა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის, თებერვლის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი, თანხით 18757,8 ათასი ლარი.

ადგილობრივი შემოსულობები განისაზღვრა 17098,6 ათასი ლარით, მათ შორის:

- საგადასახადო შემოსავლები - 15356,1 ათასი ლარი.

- სხვა შემოსავლები -1742,5 ათასი ლარი.

- არაფინანსური აქტივების ზრდა - 0 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა - 1659,2 ათასი ლარით.

ორ თვეში ბიუჯეტის მიმართ განხორციელდა ცვლილება და ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 26137,1 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზარდა 7379,3 ათასი ლარით.

დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები მიზნობრივი ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა - 210,0 ათასი ლარით, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისათვის ირიცხება 4047,4 ათ.ლარი , საიდანაც განაწილდა 3916,7 ათ.ლარი, გასანაწილებელი დარჩა 130,7ათ.ლარი.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის თებერვლის თვის შემოსავალმა შეადგინა 3048,1 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 67,3 %-ით, საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 2009,7 ათასი ლარი, რაც თებერვლის თვის გეგმის 92,9 %-ია, აქვე უნდა ავღნიშნოთ , რომ დ.ღ.გ. საქმიანობიდან მიღებულმა გადასახადმა შეადგინა - 2094,0 ათასი ლარი გეგმა შესრულდა-99,7 %-ით, ხოლო მიწის გადასახადიდან მიღებულია - 11,1 ათასი ლარი გეგმა შესრულდა 79,3 %-ით, ქონების(იურიდიულ და ფიზიკურ პირთა) გადასახადი 95,4 ათ.ლარი შემოსავლების სამსახურის მიერ იქნა შემცირებული.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთ კომისიამ და ბიურომ.

დაადგინეს: ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის, თებერვლის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ, მიღებულია ცნობად.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2022 წლის 11 თებერვლის NGOV4 22 00004262 წერილობითი მომართვის საფუძველზე, რომელიც ეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის N25- დადგენილების სამართლებრივ ექსპერტიზას, გამოვლინდა შემდეგი ხარვეზი.

დადგენილების პრეამბულაში არასწორად არის დასახელებული ,,ნორმატიული აქტების შესახებ'', საქართველოს ორგანული კანონის სტატუსი და საჭიროებს გასწორებას. ასევე, დადგენილების დანართის მე-4 მუხლის პირველ პუნქტში, რომელიც ეხება საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრას ტერმინთა უზუსტობაა. კერძოდ, ,,ექსპერტ-კონსულტანტების '' ნაცვლად პუნქტში უნდა მიეთითოს ,,ექსპერტები და სპეციალისტები'', როგორც აღნიშნულს ადგენს ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 35-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,თ''ქვეპუნქტი. ხოლო ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები''-ს ნაცვლად - ,,დაინტერესებული იურიდიული პირების წარმომადგენლები'', როგორც ეს არის განსაზღვრული სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N6 დადგენილებით დამტკიცებულ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 32-ე მუხლის პირველ პუნქტში.

დადგენილების შენიშვნები რელევანტურია N26-29 დადგენილებებთან დაკავშირებით. შესაბამისად აღნიშნული ცვლილებები განხორციელდება საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის N26-29 დადგენილებებში.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ''.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2022 წლის 11 თებერვლის NGOV4 22 00004262 წერილობითი მომართვა. კერძოდ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის N26 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზა. ცვლილება უნდა განხორციელდეს პრეამბულასა და დანართი მე-4 მუხლის პირველ პუნქტში.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის N27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2022 წლის 11 თებერვლის NGOV4 22 00004262 წერილობითი მომართვა. კერძოდ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის N27 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზა. ცვლილება უნდა განხორციელდეს პრეამბულასა და დანართი მე-4 მუხლის პირველ პუნქტში.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით), დამტკიცდა დადგენილება,

,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის N27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის N28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2022 წლის 11 თებერვლის NGOV4 22 00004262 წერილობითი მომართვა. კერძოდ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის N28 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზა. ცვლილება უნდა განხორციელდეს პრეამბულასა და დანართი მე-4 მუხლის პირველ პუნქტში.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის N28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ''.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2022 წლის 11 თებერვლის NGOV4 22 00004262 წერილობითი მომართვა. კერძოდ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის N29 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზა. ცვლილება უნდა განხორციელდეს პრეამბულასა და დანართი მე-4 მუხლის პირველ პუნქტში.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ''.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოს ხუთივე კომისიამ იმუშავა 2022 წლის სამუშაო გეგმებთან დაკავშირებით. კომისიების სამუშაო გეგმები განხილული იქნა საკრებულოს ბიუროს სხდომაზე და დამტკიცებულია საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით. წარმოდგენილ საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმაში გათვალისწინებულია საკრებულოს რეგლამენტით და კომისიების სამუშაო გეგმით გაწერილი საკითხები. იურიდიული, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის ინიციატივით, წარმოგიდგენთ საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმას. (დანართი N1).

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით), დამტკიცდა განკარგულება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ''.

დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 6 ოქტომბრის №35 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე''.

მომხსენებელმა აღნიშნა, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის N218 დადგენილებით, ,,პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობების თითოეული იერარქიული რანგისათვის აუცილებელი სპეციალური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ'', განსაზღვრულია საჯარო მოხელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ,,საჯარო სამსახურის შესახებ'', საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ადგენს საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი. შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 6 ოქტომბრის N35 დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ'',

საჭიროებს ძალადაკარგულად გამოცხადებას.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 6 ოქტომბრის №35 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე''.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის IX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სახელმწიფო აუდიტმა შეისწავლა სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობა და წარმოგვიდგინა აუდიტის ანგარიში, (2022 წლის 8 თებერვლის N000803/18 წერილობითი მომართვა,(საკრებულოში რეგისტრაციის N06-63220391-63, 08/02/2022), რომლის შედეგად გამოვლინდა რიგი ნაკლოვანებები. კერძოდ,

1. საფინანსო სფეროში - ფინანსური რესურსების მართვის ხარვეზი.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის სფეროში - ა). ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზი. ბ) სამუშაოების მიწოდების ვადის დაუსაბუთებელი ზრდა.

3. სახელმწიფო შესყიდვების მართვის სფეროში - არასათანადოდ დასაბუთებული დისკვალიფიკაცია.

4. ქონების მართვის და განკარგვის სფეროში - მიუღებელი შემოსავლები.

5. იურიდიული პირების მართვის სფეროში - იურიდიული პირების მართვის ხარვეზები.

6. სოციალური უზრუნველყოფის სფეროში - სოციალური დახმარების გაცემის ხარვეზები.

7. მმართველობით სფეროში - ჩაუტარებელი ინვენტარიზაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად შემოთავაზებულია რეკომენდაციები, რომელიც მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ განხილულია, შესწავლილია და განხორციელებულია შესაბამისი რეაგირება. ნაწილი ხარვეზებისა გამოსწორებულია.

აუდიტორული დასკვნა განხილულია ხუთივე კომისიის გაერთიანებულ სხომაზე. მოწვეული იყო შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელები, რომლებმაც გაგვაცნო ხარვეზებთან დაკავშირებული მიმდინარე სამუშაოების შესახებ. მერიიდან ასევე წარმოდგენილია აუდიტის ობიექტის რეკომენდაციების შესრულების სამუშაო გეგმა.

კერძოდ,

- ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, მერია ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებებს გამოიყენებს შესაბამისი წლის ბიუჯეტით დაგეგმილი პროგრამების/ქვეპროგრამების მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების მისაღწევად. აღნიშნული აქტივობა ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას.

- საბიუჯეტო წლის პერიოდში კონტროლირებადი იქნება ნაშთის დაგროვება, რომელიც მიემართება სხვადასხვა პროგრამების დასაფინანსებლად.

- საამშენებლო სამუშაოების მიღება-ჩაბარებისა და მონიტორინგისათვის, კონტროლის გამართულად ფუნქციონირებისა და ხარვეზების დროული გამოვლენის მიზნით დაგეგმილია ახალი საზედამხედველო სამსახურის შექმნა. აღნიშნული სამსახური შეისწავლის უკვე შესყიდულ პროექტებს, გაარკვევს დარჩენილ საგარანტიო ვადებს, გამოავლენს დაზიანებულ ობიექტებს, დაადგენს დაზიანების გამომწვევ მიზეზებს აამოქმედებს გარანტიის მექანიზმს.

- წყალმომარაგების მოწესრიგებისა და წყლის ხარისხის კონტროლის მიზნით იგეგმება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ წყალმომარაგების მოწესრიგებას და მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.

- იგეგმება ისეთი ეფექტური პროცესის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს ქონებიდან მისაღები საიჯარო თანხის ამოღების კონტროლის მექანიზმის შემუშავებას. განსახორციელებელი აქტივობებია - ქონებიდან მისაღები საიჯარო ქირის დადგენა, მოიჯარეებთან კომუნიკაცია და საჭიროების შემთხვევაში სამართლებრივი რეაგირება.

- მოსაკრებლის დავალიანების ამოღების კუთხით სამტრედიის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების მიერ, დაიგეგმება მოსაკრებლის ამოღების ადმინისტრირების გამკაცრება. კერძოდ, ინტენსიურად გამხორციელდება სამტრედიის ტერიტორიის შემოვლა და დაწესებულებების, ორგანიზაციების, იურიდიული პირებისა თუ ინდივიდუალური მეწარმეებისათვის სიტყვიერი ინფორმაციის მიწოდება მათ მიერ შეუსრულებელი ვალდებულებების შესახებ, იურიდიულ განყოფილებასთნ თანამშრომლობით პერიოდულად მოხდება წერილების დაგზავნა მოსაკრებლის დავალების მქონე სუბიექტებისათვის. თუ ზემოაღნიშნული ღონისძიებები არ გამოიღებს შედეგს, გატარდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები, მიემართება სასამართლოს მერიის კანონიერი ინტერესების დასაცავად. აღნიშნული კი გამოიღებს იმ შედეგს, რომ შეჩერდება დავალიანების ზრდა და ის ეტაპობრივად შემცირდება.

- მერია საკრებულოსთან ერთად შეისწავლის ა.(ა).ი.პ-ებში დასაქმებულთა უფლება-მოვალეობებს და მათზე დახარჯულ სახსრებს. შეფასდება დაფუძნებული სუბიექტების სარგებლიანობისა და არსებული საკადრო პოლიტიკის საკითხი. მიღებული იქნება ოპტიმალური გადაწყვეტილება, რომელიც გაზრდის ა.(ა).ი.პ-ების საქმიანობის ეფექტიანობას.

- ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, მერია ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებებს გამოიყენებს შესაბამისი წლის ბიუჯეტით დაგეგმილი პროგრამების მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების მისაღწევად.

- იგეგმება ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის განხორიცელება, რაც უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას და მათ შედარებას ორგანიზაციის სააღრცხვო მონაცემებთან. აღნიშნული გაზრდის მუნიციპალიტეტის აქტივების დაცულობის ხარისხს.

- იგეგმება მერიის შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის იმგვარი წარმართვა, რისკის

მართვის მდგრადი პროცესის ჩამოყალიბება, რომელიც მარწმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობის განხორციელების გზით, შეისწავლის და შეაფასებს შიდა კონტროლის სისტემას. გამოავლენს სისტემურ ხარვეზებს და ხელს შეუწყობს მერიაში საჯარო ფინანსების მართვის პროცესის გაუმჯობესებას.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომსიამ და ბიურომ.

დაადგინეს: ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის შესახებ, მიღებულია ცნობად.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი